განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის - CDD მოსაზრებები OSCE/ODIHR-ის რეკომენდაციებზე დაყრდნობით საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით

1. საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე მოხდეს კომისიის წევრთა ოპტიმიზაცია და ნაცვლად 12-ისა განისაზღვროს 10 წევრით. ამ შემთხვევაში თანაფარდობა პროფესიული და პარტიული ნიშნით ასარჩევი/დასანიშნი წევრებისა სასურველია იყოს 5/5 (დანიშნავს 5 საუკეთესო შედეგის მქონე პარტია). საოლქო დონეზე აღარ იქნება დამატებით მე-6 წევრის დანიშვნის საჭიროება, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე საჭირო იქნება ფუნქციების შემცირება და მორგება აღნიშნულ რაოდენობაზე.

2. გადაიხედოს პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო კომისიის წევრთა დანიშვნის პროპორციულობის პრინციპი. პოლიტიკური პარტიების თანაბარ პირობებში ჩაყენების უზრუნველსაყოფად, მიუხედავად მათი საკანონმდებლო ორგანოში არსებული მდგომარეობისა, მიზანშეწონილია კანონით მკაცრად განისაზღვროს, რომ უფლებამოსილ პარტიებს ექნებათ თითო წევრის დანიშვნის უფლება.

   თუ დადგენილი წესის შესაბამისად საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ვერ შეივსო 5-მდე, კომისიის წევრის დანიშვნის უფლება მის წევრთა რაოდენობის 5-მდე შესავსებად მიენიჭოს შესაბამის ზემდგომ საარჩევნო კომისიას/საქართველოს პარლამენტს. აღნიშნული ხელი შეუწყობს კომისიაში პროფესიული დანიშვნის კომპონენტის და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული აღქმების გაძლიერებას.

3. საჭიროა კანონმდებლობაში მკაფიოდ განისაზღვროს სიძულვილის ენის მარეგულირებელი ნორმები და დასაჯადი გახდეს როგორც სიძულვილის ენის გამოყენება, ასევე სიძულვილისაკენ ან ძალადობისაკენ წაქეზება (როგორც ეს განსაზღვრულია მაგალითად დანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში და ნიდერლანდებში). სიძულვილის ენის გამოყენების შესაძლო შემთხვევების განხილვისა და საჭიროების შემთხვევაში სანქციების დროულად გამოყენების უფლებამოსილება მიეცეს უწყებათაშორის კომისიას.

4. მნიშვნელოვანია შემცირდეს არაუფლებამოსილი პირის მოტივით განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლები, რისთვისაც აუცილებელია გაიზარდოს საარჩევნო დავაზე განცხადების/საჩივრის საარჩევნო კომისიაში შეტანის უფლების მქონე პირთა წრე, კერძოდ:

- შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს მიეცეს გასაჩივრების შესაძლებლობა იმ ტიპის დარღვევებზე რომელიც ეხება ხმის მიცემის უფლების შეზღუდვას, საარჩევნო კომისიის ქმედებას/გადაწყვეტილებას, მოსყიდვას, აგიტაციის წესების დარღვევას, მაჟორიტარი კანდიდატის რეგისტრაციას და საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგებს. მსგავსი პრაქტიკა არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მაგ: კანადაში, ჩეხეთში, დანიაში და სხვა.
- საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრების უფლება მიეცეს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს შესაბამის საარჩევნო კომისიაში და დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებელს.

5. ამომრჩევლის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოსავლენად სასურველია წინასაარჩევნო კამპანიის დროს ე.წ. „სიჩუმის პერიოდის“ დაწესება. რისთვისაც საჭიროა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-11 პუნქტში („11. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია“) განხორციელდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „კენჭისყრის წინა დღის 24 საათის შემდეგ კენჭისყრის დღის 20 საათამდე აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია“

   ამ პერიოდში ნებისმიერი მოქმედება/ღონისძიება, რომელიც უკავშირდება აგიტაციას, აღქმულ იქნება წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარების წესების დარღვევად და გატარდება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები. უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშავოს შესაბამისი მექანიზმები საზოგადოებისა და ჩართული მხარეების ინფორმირებისა და დარღვევის პრევენციისთვის. ამის კონტროლი და ზედამხედველობა განახორციელონ სამართალდამცავმა ორგანოებმა და საარჩევნო ადმინისტრაციამ (დამრღვევ პირთა მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხსიმგებლობის ზომების გასატარებლად).

6. მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით შესაძლებელია საერთო ეროვნულ არჩევნებზე (საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში) იმ კატეგორიის ამომრჩევლებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ რეგისტრაციის ადგილიდან განსხვავებულ მისამართზე (და არ სურთ რეგისტრაციის მისამართის შეცვლა), წინასწარი რეგისტრაციის მექანიზმის შემოღება. ამ შემთხვევაში პირმა, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში (რომ არ მოხდეს რაიმე ტიპის მანიპულირება), შესაძლოა მიმართოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს (დაასაბუთოს შესაბამისი დოკუმენტაციით ან მოწმეებით) და მხოლოდ საარჩევნო მიზნებისთვის გაიაროს რეგისტრაცია ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თვითმმართველობის არჩევნების შემთხვევაში შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს 6 თვეზე მეტი ვადით ცხოვრების საჭიროება.

ამ შემთხვევაში პირი ამომრჩეველთა ერთიან სიაში მოხვდება ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მსგავსი მექანიზმი გათვალისწინებული იყო 2016-2018 წლებში საქართველოს საარჩევნო კოდექსის 185[12], 185[17], 185[18] მუხლებით, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნილ და მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებულ პირთათვის.

7. სასურველია მსოფლიოში არსებული პრაქტიკის გათვალისიწინებით საქართველოს კონსტიტუციაში და საქართველოს საარჩევნო კოდექსში შევიდეს ცვლილება და პარლამენტის წევრად არჩევისთვის საჭირო ცხოვრების ცენზი ნაცვლად 10 წლისა განისაზღვროს 5 წელი, ხოლო საქართველოს პრეზიდენტისთვის ნაცვლად 15 წლისა განისაზღვროს 10 წელი.

   ახალი რედაქცია: „პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც. პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა.“

   ახალი რედაქცია: „საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც“.

8. აუცილებელია საარჩევნო კანონმდებლობის გადახედვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახელმწიფოს მიერ კანდიდატებისთვის გამოყოფილი რესურსები სხვა კანდიდატების სასარგებლოდ არ იყოს გამოყენებული. აღნიშნული მიდგომა დაუშვებელია, რადგან ამ დროს საარჩევნო სუბიექტს საშუალება ეძლევა დომინირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს როგორც ფინანსური რესურსებით, ასევე უფასო საეთერო დროის კუთხით.

   აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მხოლოდ კონკრეტულ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ ძალებს უნდა მიეცეთ წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვის საშუალება და სხვა პოლიტიკური ძალებისა თუ ორგანიზაციების მიერ მსგავსი აქტივობები აიკრძალოს.

9. მნიშვნელოვანია საარჩევნო კოდექსით განისაზღვროს წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) დაწყების პერიოდი არჩევნების მეორე ტურისთვის, კერძოდ საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „1. წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე, <u>ხოლო არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში - დანიშვნის დღის მომდევნო დღეს</u>. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები ამ კანონით დადგენილი წესით“.

10. მნიშვნელოვანია საქართველოს საარჩევნო კოდექსით განისაზღვროს, რომ არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებს (როგორც კვალიფიციურ, ასევე არაკვალიფიციურ პარტიებს

და დამოუკიდებელ კანდიდატებს) უფლება აქვთ გამოიყენონ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საჭირო უფასო და ფასიანი საეთერო დრო/გაზეთის ფართობი თანაბარი პირობებით (მსგავსი პრაქტიკა არსებობს მსოფლიოს 71 ქვეყანაში), ხოლო საეთერო დროისა და გაზეთის ფართობის განაწილების წესი განისაზღვროს ცესკოს დადგენილებით (მსგავის პრაქტიკა არსებობს მაგალითად სომხეთში).

11. სასურველია, რომ ადმინისტრაციული სამართალდაღვევების საკითხების განხილვა მოხდეს არა 30 დღეში, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითაა განსაზღვრული, არამედ საარჩევნო დავების განხილვისთვის განსაზღვრულ პერიოდში, 2+2 კალენდარული დღე. ასევე, მხარეს უნდა მიეცეს სააპელაციო სასმართლოში გასაჩივრების უფლებაც (+1 დღე). მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საკითხების განხილვის საწყის პერიოდად, საარჩევნო კალენდარში იმგრავად განისაზღვროს ვადები, რომ გასაჩივრების ბოლო ეტაპი დამთვარდეს კენჭისყრის დღემდე.

    ადმინისტრაციული საჩივრების დაჩქარებული წესით განხილვის საშუალება, რომლებითაც წინასაარჩევნო დარღვევებისთვის ადმინისტრაციული სანქციების დაწესებაა მოთხოვნილი.

12. სასურველია გაუქმდეს საარჩევნო ბიულეტენზე რეგისტრატორის ხელმოწერის და ბეჭდის დასმის პროცედურა. ეს ერთის მხრივ ეწინააღმდეგება ვენეციის კომისიის საარჩევნო ნორმათა კოდექსს (რომლის თანახმადაც დაუშვებელია საუბნო კომისიის წევრების მიერ ბიულეტენებზე რაიმენაირი ნიშნის დასმა) და მეორეს მხრივ ზრდის, კომისიის წევრის დაუდევრობით ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენის ბათილობის რისკს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია საარჩევნო კოდექსიდან ამოღებულ იქნას 69-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბათილობის საფუძველი.

    კარგი იქნება საარჩევნო კოდექსით განისაზღვროს ამკრძალავი ნორმა, სადაც აღნიშნული იქნება რომ „დაუშვებელია ისეთი საარჩევნო ბიულეტენის ბათილად ცნობა, რომელშიც არ არის შემოხაზული არცერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი, მაგრამ ამომრჩევლის ნება გამოხატულია მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის გასწვრივ სხვაგვარი მონიშვნით“. ეჭვის შემთხვევაში, საარჩევნო კომისია უნდა შეეცადოს დაადგინოს ამომრჩევლის განზრახვა, რამეთუ ბოლო პერიოდში გამართულ არჩევნებზე იყო შემთხვევები (საჩივრები), როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიამ ბათილად მიიჩნია ისეთი ბიულეტენი, რომელშიც ამომრჩევლის ნება აშკარად იყო გამოხატული.

    აუცილებელია ბათილად იქნეს ცნობილი ყველა ის საარჩევნო ბიულეტენი, რომლის შინაარსიც სხვებისთვის გახდა ცნობილი. შესაბამისად საჭიროა საარჩევნო კოდექსში 69-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი ჩანაწერი:

    „ზ. დარღვეულია ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების ფარულობა;“